ობიექტის დაცვის ხელშეკრულება

ერთის მხრივ, **შპს „ალგანი"** (შემდგომში ხელშეკრულების ტექსტში "შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, **რამაზ დევდარიანის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური" (ს/კ404957338**) (შემდგომში ხელშეკრულების ტექსტში "დამკვეთი"), წარმოდგენილი **დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ყაზარაშვილის (პ/#01010018431)** სახით ერთად წოდებულნი „მხარეებად" ვდებთ წინამდებარე ობიექტის დაცვის ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგი პირობებით:

<u>ზოგადი დებულებები</u>

- შპს "ალგანი" (დაცვითი ორგანიზაცია) არის კერძო დაცვით ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომელსაც აქვს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" და "კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრული შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია;
- შემსრულებელი ახორციელებს "კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ დაცვის ობიექტის დაცვას და დაცვის ობიექტებზე დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟსა და ექსპლუატაციას;
- შემსრულებელი თანახმაა დაიცვას დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით (მისი დანართებით) განსაზღვრული დაცვის ობიექტი;
- დამკვეთი თანახმაა, რომ მის მიერ განსაზღვრული დაცვის ობიექტი დაცულ იქნას დაცვითი ორგანიზაციის მიერ;
- მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა მიერ შედგენილია დაცვითი მომსახურების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" 2016 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება #2961-ის საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ ამ ხელშეკრულების პირობებზე მისი შესავალი დებულებების ჩათვლით.

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ დამკვეთის კონკრეტული ობიექტის დაცვის განხორციელება, კერძოდ: საზოგადოებრივი წესრიგისა და ობიექტის გარეშე პირთა ხელყოფისაგან და მის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა (CPV-79700000);

1.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს **ქართლის ქარის 6 ელექტროსადგურის დაცვა** , შემდეგ მისამართზე: **ქ. გორი ქართლის ქარის ელექტროსადგური** (შემდგომში „ობიექტი");

1.3. აღნიშნული მომსახურების გასაწევად შემსრულებლის მიერ გამოყოფილი იქნება შესაბამისი რაოდენობის მცველი;

1.4. დამკვეთი იღებს ვალდებულებას აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა და ვადებში აუნაზღაუროს შემსრულებელს მის მიერ გაწეული მომსახურება სრულად.

2. <u>მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

2.1. დამკვეთი ვალდებულია:

2.1.1. დაცვის ობიექტის სრულყოფილი დაცვის ორგანიზაციის მიზნით გაითვალისწინოს დაცვითი ორგანიზაციის რეკომენდაციები/მითითებები;

2.1.2. დაცვით ორგანიზაციას შეუქმნას სათანადო პირობები ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

2.1.3. ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხადოს დაცვით ორგანიზაციას გაწეული მომსახურებისთვის გათვალისწინებული ანაზღაურება;

2.1.4. შემსრულებელს მიაწოდოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად.

2.2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.2.1. დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის ობიექტზე;

2.2.2. დაცვის ობიექტზე დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოს კვალიფიციური **9 დაცვის თანამშრომელი** და უზრუნველყოს მათი დროული და მოწესრიგებული გამოცხადება დაცვის ობიექტზე, შესაბამისი დამტკიცებული დაცვის ფორმით ან კლასიკური ჩაცმულობით;

2.2.3. დაცვითი ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს დაცვის ობიექტის დაცვა ყოველდღე შემდეგი სამუშაო გრაფიკით :

- **საგუშაგო #3 და #6 ტურბინა- ცვლაში 2 მცველი 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი**
- **პატრულირება -1 მცველი 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი**

2.2.4 მიყენებული ზიანის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს და დამკვეთს, ხოლო მათი წარმომადგენლების მისვლამდე უზრუნველყოს დაცვის ობიექტის და მის ტერიტორიაზე არსებული ფასეულობათა უსაფრთხოება;

2.2.5. ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე წარუდგინოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ წერილობითი ანგარიში;

2.2.6. დაცვის ობიექტზე თავდასხმის ან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

3. <u>ანაზღაურება და ანგარიშსწორება</u>

3.1. დაცვის ობიექტის დაცვის მომსახურების თანხა **2016 წლის 20 ოქტომბრიდან - 2016 წლის 03 ნოემბრის ჩათვლით შეადგენს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3.2. მხარეთა შორის ანგარიშწორება წარმოებს როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორების გზით, მხარეთა მიერ სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ყოველი მომდევნო თვის 01 რიცხვამდე;

<u>4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2016 წლის 03 ნოემბრის ჩათვლით**

5. <u>ფორს–მაჟორი</u>

5.1. ფორს–მაჟორის მოქმედების განმავლობაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის;

5.2. მხარე, რომელსაც დაუდგა ფორს-მაჟორი, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს;

5.3. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი, თუ ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს (გარემოებებს) ან მეორე მხარეს ეჭვი შეაქვს მათ ნამდვილობაში, შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის მიღებიდან ან შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობაზე ეჭვის გამოთქმის თაობაზე შეტყობინების მეორე მხარისათვის გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

5.4. თუ ფორს-მაჟორის მოქმედება, შესაბამისი მხარის მიერ ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის ან ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე სათანადო ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვლება.

<u>6. მხარეთა პასუხისმგებლობა</u>

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლის, ვიდეო ჩანაწერის, ან სხვა დაზუსტებული მტკიცებულების საფუძველზე, რომ დაცვის ობიექტზე არსებული ქონების დაკარგვა/ქურდობა/ძარცვა/განადგურება შემსრულებლის თანამშრომლის (მცველის) ბრალეული მოქმედებით, უმოქმედობით ან დაუდევრობით არის გამოწვეული, მაშინ ზიანის ანაზღაურება მოხდება „შემსრულებლის“ მიერ;

6.3. ზიანის ოდენობის განსაზღვრა ხდება მხარეთა მიერ ერთობლივად, ხოლო თუკი მხარეები ვერ შეჯერდნენ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი თანამშრომლის თუ სხვა სერტიფიცირებული ექსპერტის შეფასების საფუძველზე, ამასთან, მტკიცების ტვირთი ზიანის დადგომის ფაქტის და ზიანის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

ეკისრება დამკვეთს. იგი ვალდებულია წარმოადგინოს საბუღალტრო მონაცემები და მის ხელთ არსებული სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ზიანის არსებობის ფაქტს და განსაზღვრავენ მის ოდენობას. შემსრულებელი უფლებამოსილია გადაამოწმოს დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამის ორგანოებში, დაწესებულებებში ან მესამე პირებთან;

6.4. ზიანის ანაზღაურება შემსრულებლის მიერ ხორციელდება ზიანის ოდენობის განსაზღვრის და შემსრულებლის ბრალეულობის დადგენიდან 01 თვის ვადაში;

6.5. შემსრულებელი იღებს პასუხისმგებლობას შეიარაღებული ყაჩაღობის გზით ზიანის დადგომის შემთხვევაში;

6.6. შემსრულებელი აანაზღაურებს ზარალს 20 000 ლარის ფარგლებში თითოეულ შემთხვევაზე;

6.7. შემსრულებლის პასუხისმგებლობა არ ვრცელდება ფასიან ქაღალდებზე, ფულად ნიშნებზე, დამკვეთის თანამშრომლების ან სხვა მესამე პირების პირად ნივთებზე;

6.8. შემსრულებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამდგარი ზიანი გამოწვეულია დამკვეთის ბრალეულობით, დაუდევრობით ან ამ ხელშეკრულებით დამკვეთზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობით;

6.9. თუ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას დამკვეთის მხრიდან ადგილი ექნება წინასწარ განზრახულ სიცრუეს, მაშინ დაცვითი ორგანიზაცია მთლიანად თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან;

6.10. თუკი „დამკვეთის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა გრძელდება 01 (ერთი) თვეზე მეტ ხანს, „შემსრულებელი“ იტოვებს უფლებას ცალმხრივად, ყოველგვარი სიტყვიერი თუ წერილობითი გაფრთხილების გარეშე, ან წინასწარი გაფრთხილებით („შემსრულებლის“ შეხედულებიდან გამომდინარე) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება/მისი დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოითხოვოს მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის სრულად მიღება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7. კონფიდენციალურობა

7.1. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეებისათვის გადაცემული ყველა სახის დოკუმენტი და ინფორმაცია მხარეთა მიერ მიიჩნევა კონფიდენციალურ ინფორმაციად;

7.2. დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა ან გაცნობა მესამე პირებისათვის, როგორც ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც;

7.3. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარის მიერ მოხდება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირებზე, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ამ ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად მიყენებული ზიანი.

8. ხელშეკრულების დამატებითი პირობები/დავების გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით ყველა სადავო საკითხი გადაჭრან მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონომდებლობის შესაბამისად სასამართლოში;

8.2. ხელშეკრულებაში დამატებითი ცვლილებების შეტანა შეიძლება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.3. თუ სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების საფუძველზე მოხდება ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება, მაშინ დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში და სავალდებულოა ორივე მხარისათვის;

8.4. ნებისმიერი ერთი კონკრეტული მუხლის თუ პუნქტის ძალადაკარგულობა/ბათილობა, მისი დარღვევა არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა მუხლებისა თუ პუნქტების ძალადაკარგულობას/ბათილობას;

8.5 დამქირავებლის მიერ დაცვის თანამშრომლისთვის სესხად , საჩუქრად ან სხვა სახით გაცემული თანხა , ნივთი ან მომსახურება არ ანაზღაურდება დაცვის კომპანიის მიერ.

8.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეული ინახება თითო მხარესთან.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი	„შემსრულებელი“
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ (ს/კ404957338) მის: ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N8, ტელ:514950950	შპს ალგანი“ ს/კ 202246097 მის.: ქ.თბილისი, ქუთაისის ქუჩა #18 ბანკი: პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი: MIBGGE22 მ/ა GE58PC0183600100027628
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: თორნიკე ყაზარაშვილი (პ/#01010018431)	დირექტორი: რამაზ დევდარიანი
/_____/	/_____/